ეკოტურიზმის განვითარების პოტენციალი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში

რუსუდან ხუციშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა (ბუნებათსარგებლობა MBA) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა (ბუნებათსარგებლობა MBA)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურა ჯავახიშვილი

მკვლევარი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია გავაანალიზო რეგიონში არსებული ტურისტული მდგომარეობა, მიზნის მისაღწევად ჩავატარე კვლევა, კველვის დროს გამოვიყენე რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდები. კითხვარი შევადგინე დაცული ტერიტორიების სტრუქტურირებული დახურული კითხვარის საფუძველზე, სადაც დავუმატე რამდენიმე ღია კითხვა. მქონდა პირადი ინტერვიუები საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად. მოვიპოვე ინფორმაცია, რომელიც დამეხმარა რეგიონში არსებული პრობლემების გაანალიზებაში. კვლევის მონაცემებით ნაშრომში წარმოვადგინე პრობლემები და მათი ანალიზი, რომლებიც ეკოტურიზმის განვითარებას უშლიან ხელს. ასევე დავსახე მიზნები, რომლებიც რეგიონში ეკოტურიზმის განვითარებას და მისი პოტენციალის ამაღლებას შეუწყობს ხელს. სამეცნიერო ლიტერატურის განხილვისას და ანალიზისას გავიგე ქვეყანაში და მსოფლიოში არსებული ეკოტურისტული მდგომარეობა. რეგიონის SWOT ანალიზის საშუალებით გამოვლინდა ძლიერი და სუსტი მხარეები. საბოლოოდ დადგინდა, რომ რეგიონს გააჩნია ეკოტურიზმის პოტენციალი და მის განსახორციელებლად საჭიროა სწორად დაიგეგმოს და შესრულდეს დასახული მიზნები.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: ეკოტურიზმი, მცხეთა-მთიანეთი, ეკოტურიზმის პოტენციალი.